ვებგვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული იურიდიული პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში „ხელშეკრულება“) 8.5 პუნქტის შესაბამისად, სს „თიბისი ბანკი“ გთავაზობთ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებების (დამატებების) შეტანას:

შეიცვალოს ხელშეკრულების 7.5.4 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

7.5.4. კლიენტისათვის სხვადასხვა მომსახურების / პროდუქტების (მათ შორის სადაზღვევო პროდუქტების/მომსახურების) შეთავაზებისა და გაწევისათვის აუცილებელი ინფორმაცია (მათ შორის კლიენტის პერსონალური მონაცემები), გადასცეს ბანკის შვილობილ კომპანიებს, მათ შორის სს „თიბისი დაზღვევას (ს.კ. 405042804) ან სხვა მონათესავე საწარმო(ებ)ს, რომლებიც თავის მხრივ კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვან ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა.

ხელშეკრულების 9.1.1 პუნქტს დაემატოს 9.1.1.4, 9.1.1.5, 9.1.1.6 ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

9.1.1.4 სხვადასხვა საბანკო პროდუქტის, მათ შორის საკრედიტო პროდუქტის (როგორც ახალის, ასევე არსებულის შემთხვევაში მისი ნებისმიერი ნაწილის (ტრანშის)) მიღების სურვილის დაფიქსირებას (ბანკისთვის განაცხადის წარდგენას).

9.1.1.5 რეგისტრირებულ მომსახურებაში/პროდუქტში (მათ შორის საკრედიტო პროდუქტში) ცვლილებების შეტანის ან/და გაუქმების მოთხოვნის დაფიქსირებას;

9.1.1.6 ბანკის მიერ კლიენტისთვის შეთავაზებული სხვადასხვა საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის შესახებ ინფორმაციის მიღებას და სურვილისამებრ, შეთავაზებული საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის მიღებას (დადასტურებას).

შეიცვალოს ხელშეკრულების 9.1.2 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

9.1.2 ინტერნეტ-ბანკის საშუალებით კლიენტს შეუძლია განახორციელოს სხვადასხვა საბანკო ოპერაცია ან/და ქმედება (მათ შორის საკრედიტო პროდუქტის, როგორც ახალის, ასევე არსებულის შემთხვევაში მისი ნებისმიერი ნაწილის (ტრანშის))ამ ხელშეკრულებაში მოცემული და ოპერაციის/ქმედების განხორციელების დროისთვის ბანკის მიერ დადგენილი წესების, მოთხოვნებისა და პირობების შესაბამისად.

ხელშეკრულებას დაემატოს 9.1.5 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

9.1.5. ინტერნეტ-ბანკის საშუალებით კლიენტისათვის ბანკის მიერ შეთავაზებული საბანკო, მათ შორის საკრედიტო პროდუქტის (როგორც ახალის, ასევე არსებულის შემთხვევაში მისი ნებისმიერი ნაწილის (ტრანშის)) მისაღებად (დასადასტურებლად), ბანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ, კლიენტის იდენტიფიკაციის მიზნით, დააწესოს დამატებითი მექანიზმები (მოთხოვნები), რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაში, კლიენტი ვერ მოახდენს შეთავაზებული საბანკო, მათ შორის საკრედიტო პროდუქტის (როგორც ახალის, ასევე არსებულის შემთხვევაში მისი ნებისმიერი ნაწილის (ტრანშის)) მიღებას (დადასტურებას).

შეიცვალოს ხელშეკრულების 9.2.2 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

9.2.2 კლიენტის ინფორმაციისა და ოპერაციების უსაფრთხოების დაცვის მიზნით ბანკი უფლებამოსილია შექმნას დამატებითი მექანიზმები კლიენტის იდენტიფიკაციისთვის, გარკვეული სახის მომსახურების გასაწევად მოითხოვოს ბანკის მიერ კლიენტისთვის გადაცემული მოწყობილობების ("Digipass Token" და სხვა) მეშვეობით შექმნილი (გენერირებული) ან/და სხვა სახის კოდების გამოყენება. იმ შემთხვევაში, თუ ხსენებული მოწყობილობები ან/და მათი მეშვეობით შექმნილი (გენერირებული) ან/და სხვა სახის კოდები კლიენტის მიზეზით გახდება ხელმისაწვდომი/ცნობილი მესამე პირისთვის, ბანკი თავისუფლდება ყოველგვარი პასუხიმგებლობისაგან ამით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.

შეიცვალოს ხელშეკრულების 9.2.3 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

9.2.3 ბანკი და კლიენტი ვალდებულნი არიან დაიცვან საიდენტიფიკაციო მონაცემების კონფიდენციალობა. იმ შემთხვევაში, თუ საიდენტიფიკაციო მონაცემები კლიენტის მიზეზით გახდება ცნობილი მესამე პირისთვის, ბანკი თავისუფლდება ყოველგვარი პასუხიმგებლობისაგან ამით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.

შეიცვალოს ხელშეკრულების 9.2.10 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

9.2.10 კლიენტი აცნობიერებს და ადასტურებს, რომ ინტერნეტ-ბანკის საშუალებით ბანკისთვის გაგზავნილ ნებისმიერ შეტყობინებას/დავალებას (მათ შორის საგადახდო დავალებას), ნებისმიერ განაცხადს/მოთხოვნას (მათ შორის ანგარიშის გახსნის/დახურვის ან/და კრედიტის წინსწრებით დაფარვის, რეგისტრირებული მომსახურების/პროდუქტების (მათ შორის საკრედიტო პროდუქტების) გაუქმების ან/და მათში ცვლილების შეტანის, ბანკის მიერ შეთავაზებული საბანკო, მათ შორის საკრედიტო პროდუქტის (როგორც ახალის, ასევე არსებულის შემთხვევაში მისი ნებისმიერი ნაწილის (ტრანშის)) მიღების (დადასტურების), კლიენტის მონაცემებში ცვლილების შეტანის შესახებ და სხვა ნებისმიერ განაცხადს/მოთხოვნას) აქვს ანგარიშის განკარგვაზე უფლებამოსილი პირის მიერ დადასტურებული (წერილობითი ფორმით

შესრულებული და ხელმოწერილი) ქაღალდზე დაბეჭდილი საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა.

შეიცვალოს ხელშეკრულების 15.28, 15.29 პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

15.28. კლიენტი ბანკს ანიჭებს უფლებამოსილებას, კლიენტის (დაზღვეულის) მიერ გადასახდელი სადაზღვევო პრემიის ვადაგადაცილების შემთხვევაში, ბანკმა (მოსარგებლემ) საკუთარი შეხედულებისამებრ, თავად განახორციელოს სადაზღვევო პრემიის გადახდა მზღვეველისთვის, მაგრამ არაუმეტეს 90 (ოთხმოცდაათი) დღისა.

15.29. წინამდებარე ხელშეკრულების 15.28 პუნქტით გათვალისწინებული პირობის შესაბამისად, ბანკის მიერ მზღვეველისთვის (კლიენტის ნაცვლად) სადაზღვევო პრემიის გადახდის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია კლიენტს (დაზღვეულს) მოსთხოვოს ბანკის მიერ სადაზღვევო პრემიის სახით მზღვევლისთვის გადახდილი თანხის ბანკის სასარგებლოდ სრულად გადახდა.

ხელშეკრულების მე-15 მუხლს დაემატოს 15.30 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

15.30. დაზღვევა ითვლება შეწყვეტილად / შეჩერებულად (ბანკის შეხედულებისამებრ) კლიენტის (დაზღვეულის) მიერ გადასახდელი სადაზღვევო პრემიის 90 (ოთხმოცდაათი) დღიანი ვადაგადაცილების შემთხვევაში. მიუხედავად ხსენებულისა, ბანკი (მოსარგებლე) უფლებამოსილია განაახლოს დაზღვევა (ცალმხრივად აღადგინოს დაზღვევის პირობები), იმ შემთხვევაში, თუ სრულად განხორციელდება ბანკის მიმართ კლიენტის დავალიანების დაფარვა. თუმცა, ანაზღაურებას არ დაექვემდებარება ვადაგადაცილების (დავალიანების) არსებობის პერიოდში დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები.